პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

10 დეკემბერი, სამშაბათი 1968

ფასი 2 კაპ.

გამოცემის 49-ე წელი • № 286 (14282)

დღეს კრემლში
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სხდომათა დარბაზში
გაიხსნება
სსრ კავშირის მეშვიდე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეხუთე სესია

საინფორმაციო ცნობა

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის შესახებ

1968 წლის 9 დეკემბერს გაიმართა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი.

პლენუმმა განიხილა საკითხები:

„სსრ კავშირის 1969 წლის სახალხო მეურნეობის განვითარების სახელმწიფო გეგმის პროექტის შესახებ“ — მომხსენებელი სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარე ამხ. ნ. კ. ბაიბაკოვი;

„სსრ კავშირის 1969 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის შესახებ“ — მომხსენებელი სსრ კავშირის ფინანსთა მინისტრი ამხ. ვ. თ. გარბუზოვი.

ამ საკითხებზე პლენუმმა მიიღო შესაბამისი დადგენილება.

პლენუმზე სიტყვა წარმოთქვა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ამხ. ლ. ი. ბრეჟნევმა.

ამით სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა მუშაობა დაამთავრა.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმის დადგენილება, მიღებული 1968 წლის 9 დეკემბერს

სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1969 წლის სახელმწიფო გეგმისა და სსრ კავშირის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტების შესახებ

მოწონებულ იქნას ძირითადად სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1969 წლის სახელმწიფო გეგმისა და სსრ კავშირის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტები.

კომუნისტის აზრი

ПРАВДА
9 დეკემბრის მოწინავე

„ამრიგად, ვიწყებთ საანგარიშო მოხსენების განხილვას. სიტყვა ეძლევა...“ დარბაზი მიწყნარდა. რას იტყვიან ტრიბუნაზე ასული ამხანაგი? როგორია მისი აზრი პარტიული კომიტეტის მუშაობის შესახებ? რა წინადადებას შეიტანს?

პარტიული კრება თანასწორთა კოლექტიური საბჭოა, თვითეულ კომუნისტს უფლება აქვს გამოთქვას აქ თავისი აზრი. გადაწყვეტილებაში ჩამოყალიბებული საბოლოო შედეგი კი, მისი გავლენა და ძალა მნიშვნელოვანწილად დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად ყურადღებით ეკიდებიან ორგანიზაციის წევრები ერთიმეორის სიტყვას, გამოცდილებას, აზრს.

ჩელიაბინსკის ქარხანა „სტრომმაშინის“ კომუნისტთა საანგარიშო-საარჩევნო კრებაზე გამოვიდა ხარატი ვ. პარფენოვი. მოკლე იყო მისი სიტყვა. მაგრამ გადაწყვეტილების ზუსტ სტრიქონებში გათვალისწინებულია მუშის მთავარი აზრი: პარტიული ბიურო ჯეროვნად არ წყვეტდა შრომის ორგანიზაციის საკითხებს უბნებზე — დღეს, ეკონომიური რეფორმის პირობებში, ეს საკითხები გაცილებით მეტ ყურადღებას მოითხოვენ. და აი სხდომას მართავს ახლადარჩეული ქარხნის პარტბიურო: განიხილავენ შრომის ორგანიზაციის სრულყოფის კონკრეტულ ღონისძიებებს. ზოგიერთი ნაკლი უკვე აღმოფხვრილია, ახორციელებენ ღონისძიებებს სხვა პრობლემების გადასაწყვეტად.

სწორედ ასეთია ჩვენი უმნიშვნელოვანესი პარტიული პრინციპი: სიტყვიდან — საქმეზე, კომუნისტის შენიშვნიდან ან წინადადებიდან — კოლექტიური მუშაობისაკენ დასაბუთლის გასანაღდებლად. ახლა, როცა პირველადს პარტიულ ორგანიზაციებში მიმდინარეობს ხელმძღვანელი ორგანოების ანგარიშგება-არჩევნები, განსაკუთრებით საჭიროა, რომ თვითეული გამოსვლა პარტიულ კრებაზე განიხილებოდეა საერთო საქმისათვის სარგებლობის თვალსაზრისით. ამასთან, რაც უფრო სრულად იქნება გათვალისწინებული კომუნისტთა აზრი, მით უფრო დასაბუთებულ და კონკრეტულ გადაწყვეტილებას მიიღებს კრება.

სკკპ XXIII ყრილობამ ხაზგასმით აღნიშნა: უფრო მეტი ყურადღებითა და პატივისცემით უნდა მოვეკიდოთ კომუნისტთა აზრს. შეიძლება კმაყოფილებით აღინიშნოს, რომ მეტწილ ორგანიზაციებში ეს მითითება თანმიმდევრულად სრულდება. აი, მაგალითად, რას სწერს „პრავდას“ ნოვოჩერკასკის ელექტროლოკომშენებლო ქარხნის მუშა კ. პიატაკოვი: „ჩვენი საამქროს პარტიული ბიურო ამ ბოლო ხანს გაცილებით მეტი ყურადღებით ეკიდება სხვადასხვა საკითხზე კომუნისტთა აზრების შესწავლას. თუ წინათ კრებებზე ჩვეულებრივ გამოდიოდნენ ერთი და იგივე ამხანაგები, ახლა ორატორთა წრე მნიშვნელოვნად გაფართოვდა. რადგანაც დროის ნაკლებობის გამო ყველა ერთბაშად ვერ გამოდის, აქ დანერგილია წინადადებანი წერილობითაც. ამასთან ყურადღება ამ წერილებისადმი ისეთივეა, როგორც ზეპირი გამოსვლებისადმი: ვიცით, რომ მორიგ კრებაზე მდივანი მოგვახსენებს, თუ რა კეთდება თვითეული წინადადების გამო. უფრო ფართოდ და ქმედითად ვიყენებთ ისეთ ტრიბუნას, როგორიც არის კედლის გაზეთები. უბნებზე შემოღებულია კითხვა-პასუხის ფურნალები“.

ყოველივე ეს, რა თქმა უნდა, ხელს უწყობს კომუნისტთა აქტივობის ზრდას, ორგანიზაციების ბრძოლისუნარიანობის ამაღლებას. სწორად იქცევინან ის პარტიული კომიტეტები და ბიუროები, რომლებიც საანგარიშო-საარჩევნო კრებისთანავე განაზოგადებენ ორატორთა აზრებსა და რეკომენდაციებს, ადგენენ მოქმედების კონკრეტულ გეგმას, განსაზღვრავენ ვადებსა და პასუხისმგებლებს წინადადებათა განხორციელებისათვის. ყოველნაირად უნდა დავუჭიროთ მხარი კრებებზე რეგულარულ ინფორმაციებს წინათ მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულების შესახებ. იქ, სადაც არ არის ასეთი მწყობრი სისტემა, შესაძლებელია სერიოზული ხარვეზები.

ამ ბოლო ხანს ზოგიერთი პარტიული ორგანიზაცია წარმატებით იყენებს წინადადებათა შესასწავლად კონკრეტულ სოციოლოგიურ კვლევას, კერძოდ, საანკეტო გამოკითხვას. ასეთი გამოკითხვა, უდავოა, საშუალებას გვაძლევს უკეთ გავიგოთ კოლექტივის განწყობილება, გამოვარკვიოთ შეხედულებანი გარკვეულ საკითხებზე. მაგრამ ყველაზე ფართო ანკეტებიც კი ვერ შეცვლიან კომუნისტთა ცოცხალ ურთიერთობას, აზრთა უშუალო გაზიარებას, საქმიან ამხანაგურ განხილვას. პარტიული ბიუროებისა და კომიტეტების მოვალეობაა შექმნან პირობები იმისათვის, რომ კომუნისტებმა მაქსიმალური გულახდილობით გაუზიარონ ერთმანეთს აზრები, რომ მათი კრიტიკა და თვითკრიტიკა პრინციპული იყოს. გასაგებია, რომ არ შეიძლება მოწონებულ იქნას თვითეული წინადადება თუ აზრი. და თუ ადამიანი ცდება, უნდა განვუმარტოთ, რატომ არ დავეთანხმეთ მას. მთავარი ის არის, რომ ყველა დარწმუნდეს: მათს წინადადებებს აუცილებლად განიხილავენ.

თუ პარტიულ ორგანიზაციაში დამკვიდრდა ნამდვილად ბოლშევიკური პრინციპულობის ვითარება, კომუნისტი არ შეშინდება და აშკარად გამოთქვამს კრიტიკულ შენიშვნას, ვინაც უნდა ეხებოდეს იგი. აქ დროულად მიუთითებენ ყველას, ვინც დაარღვევს პარტიის წესდების მოთხოვნას, საშუალებას არ მისცემენ უფრო გაიზარდოს ნაკლოვანებები მუშაობაში. და კრიტიკის ჩახშობის ცდები აუცილებლად აღიკვეთება.

ყველა კოლექტივში ერთბაშად როდი იქმნება ასეთი ვითარება. აქ ბევრი რამ დამოკიდებულია პარტიულ ორგანოებზე. რაც უფრო მტკიცედ უჭერენ მხარს ისინი პრინციპულ წინადადებებს, საქმიან და სამართლიან კრიტიკას, მით უფრო ეთილნაყოფიერ გავლენას მოახდენს ეს კომუნისტთა აქტივობის ზრდაზე. უფრო მეტი ყურადღება უნდა დავუთმოთ იმ ორგანიზაციათა გამოცდილების განზოგადებას, სადაც დამკვიდრდა წინადადებათა აღრიცხვის ქმედითი სისტემა, კონტროლი მათი შესრულებისადმი. დაე საყურადღებო გამოცდილებას გაეცნონ ყველა კოლექტივი, გამოიყენონ იგი და გაამდიდროს ახალი ძიებით.

უნდა აღინიშნოს, რომ უკვე ახლა, პირველადი ორგანიზაციების საანგარიშო-საარჩევნო კამპანიის დროს, ბევრმა პარტიულმა კომიტეტმა, მაგალითად, უკრაინის კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა, პარტიის კრასნოდარის სამხარეო კომიტეტმა, ულიანოვსკის საქალაქო კომიტეტმა და სხვებმა — განიხილეს, თუ როგორ მიმდინარეობს ანგარიშგება-არჩევნები, განაზოგადეს პირველი შედეგები, ანალიზი გაუკეთეს კომუნისტებს მიერ გამოთქმულ წინადადებათა და კრიტიკულ შენიშვნათა შინაარსს. ამან შესაძლებელი გახადა ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად ღონისძიებების ოპერატიულად შემუშავება.

კომუნისტთა აზრები სხვადასხვა პრობლემებზე პარტიულ კომიტეტებში მოაქვს ფოსტასაც, ადამიანები უშუალოდ ფოსტით გზავნიან აქ წინადადებებსა და შენიშვნებს. და ბოლოს, კომუნისტები ხშირად გამოდიან პრესაში. პარტიული ორგანოები მოვალენი არიან უჩვენებდნენ თვითეული ადამიანის აზრისადმი გულმოდგინე, საქმიანი მიდგომის მაგალითს, გაზეთის ფურცლებზე გამოითქვა იგი, წერილსა თუ საუბარში. რა თქმა უნდა, პარტიული კომიტეტის ყოველ გადაწყვეტილებას საფუძვლად უნდა ედოს გულდასმით შესწავლა, კომუნისტთა ფართო მასის აზრთა ზუსტად გათვალისწინება.

დღეს დიდმნიშვნელოვანი ამოცანები დგას პარტიული ორგანიზაციების წინაშე. პარტიის XXIII ყრილობისა და სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმების გადაწყვეტილებათა შესასრულებლად, ვ. ი. ლენინის დაბადების მე-100 წლისთვის ღირსეულად შესახვედრად საჭიროა დიდი კოლექტიური მუშაობა. მის წარმატებას განსაზღვრავს თვითეული კომუნისტის წვლილი საერთო საქმეში. პარტიული ორგანიზაციების მაღალი მოწოდებაა შეაერთონ პარტიის მილიონობით მებრძოლის შემოქმედებითი აზრი და პრაქტიკული მეცადინეობა, მათი გონება და ძალები წარმართონ კომუნისტური მშენებლობის ახალი მიღწევებისათვის საბრძოლველად.

კომუნიკე

1968 წლის 7-8 დეკემბერს კიევში გაიმართა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელ მოღვაწეთა შეხვედრა.

საბჭოთა კავშირის მხრივ მონაწილეობდნენ: სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი **ლ. ი. ბრეჟნევი,** სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე **ა. ნ. კოსიგინი,** სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ნ. ვ. პოდგორნი,** სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, უკრაინის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი **პ. ე. შელესტი,** სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, უკრაინის სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე **ვ. ვ. შჩერბიცკი,** სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი **კ. თ. კატუშევი,** სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილე **ვ. ვ. კუზნეცოვი.**

ჩეხოსლოვაკიის მხრივ მონაწილეობდნენ: ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი **ა. დუბჩეკი,** ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის პრეზიდენტი, ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრი **ლ. სვობოდა,** ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე, ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრი **ო. ჩერნიკი,** სლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრი **გ. ჰუსაკი,** ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ჩეხიის ოლქებში პარტიული მუშაობის ხელმძღვანელობის ბიუროს თავმჯდომარე, ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრი **ლ. შტროუგალი.**

მხარეებმა ერთმანეთს გაუზიარეს აზრები საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის, სსრ კავშირისა და ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის თანამშრომლობის შემდგომი განვითარების შესახებ, აგრეთვე განიხილეს სხვა ურთიერთსაინტერესო საკითხები.

მოლაპარაკება მიმდინარეობდა გულითად ვითარებაში, ამხანაგობისა და მეგობრობის სულისკვეთებით.

8 დეკემბერს ჩეხოსლოვაკიის დელეგაცია სამშობლოში გაემგზავრა. დელეგაცია გააცილეს საბჭოთა ხელმძღვანელებმა, რომლებიც მოლაპარაკებაში მონაწილეობდნენ.

მრავალწლიანი ნარგავების გაშენება — ჩვენი საღეისო საზრუნავი

სამგორის მწვანე ზოლები

ამორის პირველი თვე — დეკემბერია ახლა, მაგრამ სოფლად სამუშაოს რა გამოელევს. ახლა ხომ ტყისაცავი ზოლების, ბაღებისა და ვენახების გაშენების საუკეთესო დროა! ეს კარგად ესმით გარდაბნის რაიონის ვარკეთილის საბჭოთა მეურნეობის მშრომელებს. მეურნეობაში არაჩვეულებრივ სურათს ნახავთ ამ დღეებში. ასობით ადამიანი — ქალი თუ კაცი, ხნიერი თუ ახალგაზრდა — ყოველდღე გამოდის მინდვრად და ნიჩბებითა და ძალაყინებით, მექანიზატორებთან — მიწის სათხრელი აგრეგატებისა და ბულდოზერების მძღოლებთან ერთად ორგანიზებულად მთელ დღეს მუშაობენ, თხრიან ორმოებს ნერგების დასარგავად, რგავენ ხეებს.

მეურნეობის ერთ-ერთ უბანში პატარა ლილოს მიდამოებში 80 ჰექტარამდე მიწა წლების განმავლობაში გამოუყენებელი იყო. ბალახი რა არის, ისიც უწყლობით აღრე ხმებოდა. ხეებზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია. ამ საკითხზე მეურნეობის დირექციას სპეციალისტებთან ერთად ხშირად ჰქონდა ლაპარაკი.

გადაწყდა აღნიშნული მიწის გამოყენების საკითხი. ამუშავდა ტრაქტორები, ბულდოზერები. რამდენიმე წლის ნაყამირევი მიწა გადაიხნა, წყალიც გაიყვანეს. ნიადაგი მომზადდა ქარსაცავი ზოლებისა და ხეხილის გასაშენებლად.

გუშინ ამ მიწაზე გამოვიდნენ მუშები, სპეციალისტები და საგულდაგულოდ რგავდნენ ხეებს. პირველად ქარსაცავი ზოლებისათვის უზრუნაათ. რამდენიმე კილომეტრ მანძილზე სამ მწკრივად ირგვება ალვის ხეები. მუშების შ. დავაშვილის, გ. ყარყარაშვილის, ვ. ხმალაძის და სხვების შრომით კმაყოფილი არიან სპეციალისტები. თვითეული ღღეში 130-170 ძირ მცენარეს რგავს.

მეურნეობის ხელმძღვანელობას კარგად მოუფიქრებია, რომ ნერგის გამოსაყვანად სპეციალურად გამოუყვია 2 ჰექტარი მიწა. აქ ყოველ წელს გამოპაყვთ 120.000 ძირი ნერგი. ამ სანერგეს კარგად უძღვება აგრონომი ი. ჯოხიძე. წელს დეკემბერში დაირგვება 100 ათასი ძირი ალვის ხე.

ვარკეთილელები ნარგავებით გზებსა და კარმიდამოებს მარტო როდი მოსავენ. ამასთან ერთად განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ ხეხილის გაშენებას. გავიარეთ პატარა ლილოს გაყოლებით, ვინახულეთ ის უბანი, რომელიც საუკუნეობით ხრიოკი იყო. აქ მეურნეობის პატრიოტთა დიდი ჯგუფი მუშაობდა. ვესაუბრეთ ათობით ადამიანს, რომლებიც ხეხილის ნარგავების დასარგავად გამოსულან. აქვე იყვნენ მეურნეობის აგრონომი, პარტორგანიზაციის მდივანი თინა აბზიანიძე, აგროგანყოფილების უფროსი აღ. ქელდიშვილი და ბ. კახიძე. ისინი მუშებთან ო. შავერდაშვილთან, ნ. ალხაზაშვილთან, გ. მამმათავრიშვილთან, ა. ალხაზაშვილთან, გ. ყარყარაშვილთან, შ. დავაშვილთან და სხვებთან ერთად რგავდნენ ხეხილს. ამასთან ერთად დარგვაში შემჩნეულ ნაკლოვანებებს იქვე ასწორებდნენ, რჩევა-დარიგებას აძლევდნენ მუშებს.

წელს მეურნეობაში გადაწყვეტილი აქვთ ქარსაცავი ზოლები გააშენონ 3 ჰექტარზე, ხოლო ხეხილი დარგონ 80 ჰექტარზე, — გვიამბობს მეურნეობის დირექტორი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ი. კავლაძე. — ეს სამუშაო ამ დღეებში დავიწყეთ. ქარსაცავი ზოლი გაშენდა 2 ჰექტარზე, ხეხილის ბაღი — 10 ჰექტარზე.

მეურნეობის პატრიოტებს ერთი დიდი საზრუნავი აქვთ. საქმე ის არის, რომ ახალგაზრდა ნარგავებს ნორმალური განვითარების შესაძლებლობა მიეცეს. სწორედ ამ მიზნით ახალდარგულ მცენარეს იმავე დღეს რწყავენ ა. კალაკაშვილი, ვ. ხმალაძე და სხვები. ვარკეთილში მარტო ხეხილის ბაღები გაშენებულია 450 ჰექტარზე. წელს ამ ფართობს კიდევ 80 ჰექტარი შეემატება.

გარდაბნის რაიონში მარტო ვარკეთილში როდი მიმდინარეობს ხეების დარგვა. გამარჯვებაში, თელეთში, ულიანოვკაში, დიღომში, ჯანდარში, რუისბოლოში, ნორიოში ყველგან მეურნეობის ტერიტორიის გზები ნარგავებით იმოსება.

გაიკლის რამდენიმე წელი, და გაზაფხულზე ატმის, ნუშის, ვაშლის, მსხლის, გარგარის ხეები რომ აყვავდება, გამვლელი კეთილად მოიხსენიებს იმათ, ვინც ისინი დარგო და გაახარა.

შ. დეისაძე.

ვენახი, ხეხილი

გურჯაანი რაიონის მევენახეებმა წელს უყურძნის უხვი მოსავალი მიიღეს. ახლა კვლავ დიდი სამუშაოები მიმდინარეობს ზვრებში. ყოველ ხელსაყრელ დღეს მაქსიმალურად იყენებენ ახალი ვენახების გასაშენებლად. რაიონის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში უკვე გაშენებულია 120 ჰექტარზე მეტი ახალი ვენახი. გეგმით კიდევ უნდა გაშენდეს 180 ჰექტარზე მეტი.

ახალი ვენახის გაშენების სამუშაოები კარგად მიმდინარეობს ყარდანახის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობაში, სადაც დღემდე გაშენეს 20 ჰექტარი. გურჯაანის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობაში გაშენებულია 30 ჰექტარი ახალი ვენახი. ზვრებს ახალი ზვრები ემატება ველისციხის, შაშიანის, კაჭრეთის, ჭანდარის კოლმეურნეობებსა და სოფელ შრომის საბჭოთა მეურნეობაში. ვაზის ნერგით უზრუნველყოფილი არიან. რაიონში წელს გაშენეს 10 ჰექტარი ხეხილის ბაღები, კიდევ დაირგვება 8 ჰექტარი. („კომუნისტის“ კორ.).

ზესტაფონი რაიონის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში წელს გეგმით უნდა გაშენებინათ 103 ჰექტარი ახალი ვენახი. მევენახეებმა კარგად იშრომეს და უკვე გააშენეს 113 ჰექტარი.

მეორე სვირის სტალინის სახელობის კოლმეურნეობამ გაშენა 8 ჰექტარი ვენახი, ამავე სოფლის ლენინის სახელობის კოლმეურნეობამ — 6 ჰექტარი, სოფელ ფუთის კოლმეურნეობამ — 8 ჰექტარი, კვალითის — 6 ჰექტარი, დილიკაურის — 5,4 ჰექტარი, ზოვრეთის — 4,5 ჰექტარი, ალავერდის კოლმეურნეობამ კი 4,8 ჰექტარი.

ახალი ვენახის გაშენების გეგმები შეასრულა სვირის ხეხილის სანერგე მეურნეობამ — გაშენებულია 15 ჰექტარი, ხოლო არგვეთის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობამ გააშენა 13 ჰექტარი ვენახი.

ახლა რაიონში მიმდინარეობს ხეხილის გაშენების სამუშაოები. გეგმით გათვალისწინებული 15 ჰექტარიდან გაშენებულია 11 ჰექტარი ხეხილი. ხეხილის გაშენება გრძელდება. („კომუნისტის“ კორ.).

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში

8 დეკემბერს კრემლში გაიმართა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სხდომა.

სხდომაზე განიხილეს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია სსრ კავშირის მეშვიდე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეხუთე სესიის გამართვასთან.

პრეზიდიუმმა მოისმინა კავშირის საბჭოსა და ეროვნებათა საბჭოს საგეგმო-საბიუჯეტო კომისიების თავმჯდომარეების ბ. ა. როზენკოსა და კ. მ. გერასიმოვის საინფორმაციო მოხსენებანი იმის შესახებ, რომ საგეგმო-საბიუჯეტო და დარგობრივმა კომისიებმა წინასწარ განიხილეს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიერ წარმოდგენილი სსრ კავშირის 1969 წლის სახალხო მეურნეობის განვითარების სახელმწიფო გეგმა და სსრ კავშირის სახელმწიფო ბიუჯეტი, აგრეთვე ანგარიში სსრ კავშირის 1967 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების შესახებ.

სხდომაზე განიხილეს აგრეთვე სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების მიწის კანონმდებლობის საფუძვლების პროექტი. ამ საკითხზე საინფორმაციო მოხსენებანი გააკეთეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პალატების სოფლის მეურნეობის კომისიების თავმჯდომარეებმა თ. ა. სურგანოვმა და ვ. ა. კარლოვმა. (საკდესი).

სურათზე: ვარკეთილის საბჭოთა მეურნეობის მოწინავე მუშა გ. ყურაშვილი. იგი ყოველდღიურად რგავს 80 ძირ ხეხილის ნერგს.

ფოტო ხ. კილაძისა.

ახლისა და ძველის შესანიშნავი შეხამება

მიმდინარე წლის გაზაფხულზე დაიწყო კრემლის დიდი სასახლის რესტავრაციისა და რეკონსტრუქციის სამუშაოები. მარმარილოს საფეხურებით ავიდნენ არქიტექტორები და მემონტაჟეები, ელექტრიკოსები და მომვარაყებელნი, ზეინკლები და მღებავები — ასობით ადამიანი, რომლებმაც თანამედროვე ხუროთმოძღვრების ყველა წესის დაცვით გადაწყვიტეს სიძველისათვის დაებრუნებინთ ახალგაზრდობა და მშვენიერება. თავიანთი ამოცანა მათ შეასრულეს.

აი რა უთხრეს საკვლისის კორესპონდენტს ვ. სტეპანოვს ამ უჩვეულო მშენებლობის მონაწილეებმა.

ი. ა. კრონოვი,

კრემლის დიდი სასახლის მშენებლობის უფროსი, ტრესტ „მშენებლის“ მმართველი:

— ისეთ ობიექტს, როგორიც სასახლეა, მშენებელი ალბათ, სიცოცხლეში ერთხელ ხვდება. შენება მუდამ უფრო მარტივია, ვიდრე აღდგენა. კრემლის დიდ სასახლეში კი შერწყმულია რამდენიმე საუკუნის არქიტექტურა. ეს სასახლე შედგება შენობათა მრავალსართულიანი კომპლექსისაგან და თითქმის თითოეული მათგანი ნიჭიერი რუსი ოსტატებისა და ხუროთმოძღვრების შედეგია. მე-15 საუკუნისაა წახნაგოვანი პალატა, მე-19 საუკუნის დამდეგს ეკუთვნის გიორგიევსკი და ვლადიმირის დარბაზები, ხოლო სხდომათა დარბაზი უკვე ჩვენი თანამედროვეობაა, იგი 1933-1934 წლებში შეიქმნა ალექსანდრესა და ანდრიას ყოფილი საპარადო დარბაზებისაგან.

ნათლად რომ წარმოვიდგინოთ სამუშაოთა ფრონტი, ჩვეულებრივ მოჰყავთ ხოლმე ციფრები ჩვენი საქმის „გეომეტრიიდან“ — ფართობები, მოცულობა, სიმაღლე და ასე შემდეგ. აქ ციფრები უძლურია. ვიტყვი მხოლოდ, რომ ამ „ფრონტზე“ მუშაობდა 2.700-ზე მეტი კაცი, თუ არ ჩავთვლით იმ ქარხნებისა და ფაბრიკების მუშებს, რომლებიც გვაწვდიდნენ სხვადასხვა დეტალს, ქსოვილს, ავეჯს ქვეყნის ყოველი კუთხიდან. სამი სარესტავრაციო სახელოსნო — კიევის, ლენინგრადის და მოსკოვისა გულმოდგინედ აღადგენდა სასახლის თავდაპირველ სილამაზეს. ძნელია ვინმე გამოვარჩიოთ, ყველანი განსაკუთრებული შთაგონებით მუშაობდნენ, თითქოს ეჯიბრებოდნენ წარსულის სახელმოხვეჭილ ოსტატებს. თუმცა, „ეჯიბრებოდნენ“ მთლად ის სიტყვა როდია, უფრო ზუსტად რომ ვთქვათ — მეტოქეობდნენ. რას ნიშნავს, მაგალითად, დაავო ახალი იატაკი ვლადიმირის დარბაზში. ეს ნიშნავს ზუსტად გაიმეორო პარკეტის ლამაზი მხატვრული ორნამენტი, შეარჩიო ხის თოთხმეტი ფერადი ჯიში. კიეველებმა, რომლებსაც დაევალათ ეს უბანი, დაამტკიცეს, რომ ოქრო ხელი აქვთ, რომ ჩვენს დროშიც არ გადაშენებულან დახელოვნებული ოსტატები. რაოდენ საზრიანობა და გულმოდგინება გამოიჩინეს ლენინგრადელებმა, როცა გიორგის დარბაზს თავდაპირველი სიქათქათე და გამჭვირვალობა დაუბრუნეს. გრძნობა, რომ ხარ ისტორიის თანამონაწილე, თითოეული მუშის, თითოეული ინჟინრის მთავარი მამოძრავებელი იყო.

დამთავრდა კრემლის დიდი სასახლის რესტავრაციისა და რეკონსტრუქციის ძირითადი სამუშაოები

◆

რესტავრატორები ხმარობენ ასეთ ტერმინს — „დაკერგვა“. დაკერგვას უწოდებენ ყველაფერს, რასაც დაურღვევია საგნის თავდაპირველი სახე. როგორც ჩანს, ეს ცნება ეხმაურება დაკარგულ მშვენიერებას. დღეს შეგვიძია ვთქვათ, რომ იგი ერთთასად დაუბრუნდა კრემლის დიდ სასახლეს.

ბ. ვ. პალუი,

№ 2 მოსაროეკტის № 8 საპროეკტო სახელოსნოს ხელმძღვანელი, სახელმწიფო პრემიის ლაურეატი:

— დავიწყებ პარადოქსით. ჩვენი მუშაობის საუკეთესო შეფასება ის იქნება, თუ ხალხი ვერ შეაჩნევს, რომ ჩვენ რაღაც გავაკეთეთ. ასეთია დაპროექტების თავისებურება — „შეერწყოს“ არსებულ შენობას და, შეინარჩუნებს რა არქიტექტურას, აღვურვოს იგი თანამედროვე საინჟინრო კომუნიკაციებით. ვენტილაციის, კონდიციონირებული ჰაერის, ელექტრომომარაგებისა და გათბობის ახალი სისტემების თითოეული მეტრი უნდა დაგეკავებინა მოცემულ ადგილთან. უაღრესად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა იმას, რომ არ დაგვეღვევა შენობის ისტორიულად ჩამოყალიბებული იერი. მიგეჩნია, რომ ამას თავი გავართვით.

რესტავრატორთა ყველაზე დიდი სიურპრიზია წახნაგოვანი პალატის ცენტრალური სეტი. გასული საუკუნის დამლეგიდან არსებული სეტის ფერწერული მოხატულობის ნაცვლად, აღდგენილია რელიეფური დეკორაცია, რომლის ქვეშ აღმოაჩინეს რესტავრაციის დროს. ამ კვლის მიგნებაში დაგვეხმარა ნ. ნ. პომერანცევი. ახლა სეტი ჩაერთო ფერად გამაში. საინტერესოა ახალი, ესე იგი თავდაპირველი ანლო კოლორიტული გადაწყვეტა ვლადიმირის დარბაზისა. ყველა პალატისა და დარბაზის გამძლეობას ამიერიდან დაიცავენ ვენტილაციისა და კონდიციონირების თანამედროვე საინჟინრო სისტემაში. ჩვენ ყველაფერი ვიღონეთ, რომ განძთა ეს დამცველები უხილავი ყოფილიყვნენ.

ნ. ვ. გუსაროვი,

მომვარაყებელთა ბრიგადირი:

—ჩემს სიცოცხლეში აღმიდგენია 500-ზე მეტი გუმბათი. ვფიქრობდი, რომ ყველაზე ძნელი იყო ხარების ტაძრის გუმბათი, აქ კრემლში. ოდესმე ოპერისა და ბალეტის თეატრშიც გაგვიჭირდა. მაგრამ ისეთი, როგორც კრემლის დიდ სასახლეში, არ შემხვედრია. ყველაზე ძნელი და ფაქიზი შუშაობა გველოდა ჩვენ, მომვარაყებელებს. ჯერ ერთი, უნდა ავეღო ადრეული დანადგარები, მეორე, ფერადი ქვის ჩექურთმის მოოქვრა რთული და შრომატევადი საქმეა. ერთი რამ მახარებდა და ძალას მმატებდა, — ვხედავდი, როგორ ცდილობდა ბრიგადა [illegible] ადამიანურად ახალგაზრდებად [illegible] — ამბობდი. ყველაფერი კარგად არის, ახალგაზრდები სწავლობენ ძველთა ძველ ხელოვნებას, [illegible] ეროვნული პროფესია [illegible]

და კიდევ აი რა აზრი მაფიქრებდა. უყურებ ავანდარბაზში მწვანე იასების ღუმელს, ტკბები გიორგის დარბაზის ქანქარა ნამერწყვთა და ეკატერინეს დარბაზის მალაქიტური პილასტრით, მოჯადოებული დეხარ წახნაგოვანი პალატის მოოქრული კარიბჭის წინ — და გაოცებს არა მეფური მდიდრულობა, არამედ სახალხო ოსტატთა არაჩვეულებრივი ხელოვნება.

• • •

10 დეკემბერს კრემლის დიდი სასახლის ფილგაშტოკზე კვლავ აფრიალდება ჩვენი სამშობლოს ალამი. აქ გიიხსენებ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მეხუთე სესია. კარგია, რომ პირველნი, ვინც ნახავენ ამ განახლებულ სილამაზეს, იქნებიან ხალხის რჩეულნი — დეპუტატები. ისინი პირველნი გაივლიან დარბაზებში და პირველნი ეტყვიან „მადლობას“ ადამიანებს, რომლებიც ასე საფუთად მოეკიდნენ დიდ ხუროთმოძღვართა და ოსტატთა ქმნილებას, აღორძინეს მათი თვითმყოფადი ხელოვნების პირველქმნილი მშვენიერება.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პალატების მუდმივ კომისიებში

8 დეკემბერს გაიმართა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოსა და ეროვნებათა საბჭოს ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის, სახალხო განათლების, მეცნიერებისა და კულტურის, ვაჭრობისა და საყოფაცხოვრებო მომსახურების მუდმივ კომისიათა სხდომები. მანამდე სხდომები გამართეს მრეწველობის, ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის, მშენებლობისა და საშინაო მასალათა მრეწველობის, სოფლის მეურნეობის კომისიებმა.

კომისიებმა განიხილეს და დაამტკიცეს დასკვნები სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარებისა და სსრ კავშირის 1969 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ, აგრეთვე სსრ კავშირის 1967 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების შესახებ.

კომისიებმა მოიწონეს თანამოხსენებანი გეგმისა და ბიუჯეტის შესახებ, რომელთა წაკითხვა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პალატების სხდომებზე დაევალათ საგეგმო-სამეურნეო კომისიათა თავჯდომარეებს პ. ა. როზენკოსა და კ. მ. გერასიმოვს.

ეროვნებათა საბჭოს ვაჭრობისა და საყოფაცხოვრებო მომსახურების კომისიის სხდომამ განიხილა სპეციალური და სრულიად ტანსაცმლისა და ფეხსაცმლის წარმოების, აგრეთვე სოფლად ამ საქონლით ვაჭრობის საკითხი.

ამ ბოლო წლებში სამეურნეო და პროფკავშირულმა ორგანოებმა განახორციელეს ღონისძიებანი სპეციტანსაცმლითა და სპეციფეხსაცმლით სოფლის მეურნეობის სახელმწიფო საწარმოებისა და კოლმეურნეობების უზრუნველყოფის გაუმჯობესებისათვის. გაფართოდა ცალკეულ პროფესიათა მუშაკთათვის სპეციტანსაცმლისა და სპეციფეხსაცმლის უფასოდ მიცემის ნორმები, გაიზარდა მატერიალური ფონდები ამ მიზნისათვის. მოეწყო სპეციალური სამუშაო ტანსაცმლის ახალი ნიმუშების, აგრეთვე მის შესაკერად საჭირო ქსოვილების სრულიად საკავშირო დათვალიერება. დათვალიერების შედეგების მისედვით წარმოებისათვის შერჩეულია ტანსაცმლის გაუმჯობესებული მოდელები და ქსოვილების ნიმუშები. მთელ რიგ რესპუბლიკებსა და ოლქებში შეიქმნა სპეციტანსაცმლის სპეციალიზებული ბაზიზები. კომისიამ მიიღო კონკრეტული რეკომენდაციები არსებულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად.

მუშაობის გეგმის შესაბამისად ამ კომისიის სხდომამ განიხილა მინერალური წყლის წარმოებისა და ვაჭრობის მდგომარეობა და უკიდურესი ჩრდილოეთის მონადირეებისა და მეირმეებისათვის თბილი ტანსაცმლის, ფეხსაცმლისა და დათბუნებული სახლების წარმოების საკითხი.

ეროვნებათა საბჭოს ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის კომისიის სხდომამ მოისმინა ინფორმაცია, თუ როგორ ასრულებენ სსრ კავშირის სამინისტროები და უწყებები ამ კომისიის რეკომენდაციებს სამედიცინო დაწესებულებათა და სამედიცინო მრეწველობის საწარმოთა მშენებლობისა და ამოქმედების საკითხებზე.

პალატების მუდმივ კომისიათა მუშაობაში მონაწილეობდნენ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატები, სსრ კავშირის სამინისტროთა და უწყებათა ხელმძღვანელები, მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების წარმომადგენლები, საწარმოთა დირექტორები, სპეციალისტები, მეცნიერები, საზოგადოებრივობისა და პრესის წარმომადგენლები — სულ 300-მდე კაცი.

კომისიებმა განიხილეს და მოიწონეს თავიანთი მუშაობის 1969 წლის გეგმები. კომისიათა მუშაობის გეგმებით გათვალისწინებულია დეპუტატთა აქტიური მონაწილეობა კანონპროექტების მომზადებაში, კანონებისა და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დადგენილებათა შესრულებისადმი კონტროლის განსორციელებაში.

• • •

8 დეკემბერს კრემლის დიდ სასახლეში გაიმართა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პალატების ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის და საკანონმდებლო განსჯახულობათა კომისიების გაერთიანებული სხდომა.

კომისიებმა მოისმინეს დეპუტატ ნ. ნ. ბოლხინის — მოსამზადებელი კომისიების თავმჯდომარის — მოხსენება სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების ჯანმრთელობის დაცვის კანონმდებლობის საფუძვლების პროექტის ცალკეულ სტატიებში ცვლილებათა შეტანის შესახებ. კომისიები დაეთანხმნენ მოსამზადებელი კომისიის წინადადებებს და მიიღეს კანონპროექტის ახალი ტექსტი.

მოიწონეს რა სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების ჯანმრთელობის დაცვის კანონმდებლობის საფუძვლების პროექტი, კომისიებმა გადაწყვეტეს შეიტანონ კანონპროექტი სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში, ამასთან სთხოვეს, რომ კანონპროექტი გამოაქვეყნონ პრესაში საზოგადოებრივობის ფართო განხილვისათვის. (საკდესი).

1. ფრადიცის ძალა

ძველი ავჭალა თბილისის რევოლუციური ცხოვრების რელიკვიაა. აქ მდებარეობს დედაქალაქის ერთ-ერთი უძველესი საწარმო — მინის ქარხანა, რომელიც დიდი ბელადის — ვ. ი. ლენინის სახელს ატარებს. ამ საწარმოს ისტორია მარტო თავისი განვითარებით როდი გვაღელვებს. მის ფურცლებზე ამოიკითხავთ და იგრძნობთ რევოლუციის დიდი ბელადისადმი მიცემული მუშური სიტყვის ერთგულებას, რომელიც აგერ უკვე ორმოცდაექვსი წელია არ ხუნდება და ახალ-ახალ ელვარებას იძენს.

...1922 წლის 22 ოქტომბერი. ქარხნის ეზოში თავი მოუყრიათ მუშებს. სამარისებურ სიჩუმეში მკაფიოდ გაისმის: „მოსკოვი. ამხანაგ ლენინს: ჩვენ, ავჭალის მუშის ქარხნის მუშებმა, 22 ოქტომბერს საერთო კრებაზე თქვენი ღირსეული სახელი ვუწოდეთ ჩვენს ქარხანას“...

ამ დეპეშის გაგზავნიდან ერთი წლის შემდეგ მუშები კვლავ შეიკრიბნენ ქარხნის ეზოში და დიდი ბელადი საწარმოს სამაგი წევრად — უფროს ოსტატად აირჩიეს. ოსტატის საწევრო წიგნაკის გაგზავნასთან ერთად თბილისელმა მუშებმა ლენინს შეფიცეს რევოლუციური ტრადიციების ერთგულება და იკისრეს გარკვეებული ენერგიით ეშრომათ სამშობლოს საკეთილდღეოდ.

ქარხნის ისტორიაში მომხდარი ეს ორი მოვლენა უბრალო ენთუზიაზმის ნაყოფი რომ არ იყო, ამაში ადვილად დავრწმუნდებით, თუ თანმიმდევრულად გადავშლით საწარმოს შრომითი მაჩვენებლების საინტერესო წიგნს.

რას წარმოადგენდა იმდროინდელი შუშის ქარხანა? 1921 წელს ვინმე გერმანელი სამმოსანის — პარას მიერ აშენებულმა კუსტარულმა საწარმომ ძლივს — ვიგაგაგლახით მოაღწია ჩვენს განახლებულ ცხოვრებამდე. ქარხნის ვეტერანი ზაქრო ივანიშვილი, რომელმაც საწარმოში ნახევარი საუკუნე დაჰყო და ამჟამად პენსიონერია, იგონებს: მაშინ საწარმოში მხოლოდ 40-50 კაცი ვმუშაობდით. შრომის პირობები აუტანელი იყო. 14-15 საათის მომქანცველი შრომა დღის ანვამდა ჩვენს ჯანმრთელობას, მინაბმერები, ოსტატები ორი სამი წლის შრომის შემდეგ ტუბერკულოზით ავადდებოდნენ.

საბჭოთა ხელისუფლებამ ზაქრო ივანიშვილს 32 წლისას მოუსწრო.

— ქარხანაში ბევრი რამ შეიცვალა, მუშაობაც აეწყო. თავისუფლება ვიგრძენით, პროდუქციას მეტს ვუშვებდით, — იგონებს იგი.

ახლადშენების პირველ წლებში მოვიდა საწარმოში აგრეთვე მეორე ვეტერანი იმოლიტე კერესელიძე, რომელიც დღეს ქარხნის პარტიულ ბიუროს უდგას სათავეში.

— პირველი ხუთწლედების დიდმა გეგმებმა ახალი სული ჩაბერა ჩვენს ქალაქა საწარმოს, დავამონტაჟეთ პირველი ნახევრადავტომატური მანქანები, რომლებმაც მეტად შეამსუბუქა მუშის შრომა და სახალისო გახადა იგი. 1936 წელს ქარხნის ერთადერთ საამქროში დავამონტაჟეთ გერმანული ფირმის მანქანები. ტექნიკურმა პროგრესმა ჩვენში ფეხი თანდათან მოიკიდა. საწარმოს ნახევრადავტომატური მანქანები მინის ჩამომყალიბებელი ავტომატური მანქანებით შეიცვალა, რამაც საშუალება მოგვცა წელიწადში 3 მილიონი ბოთლი გამოგვეშვა. დღეში უკვე იმდენ ბოთლს ვუშვებდით, რამდენსაც ზაქრო ივანიშვილის დროს ვეღარ ეფერა ერთ-ერთ ციფრს — 7.900-ზე შეჩერდა.

ბაბი ბიგვავამ ას წელს გადააბიჯა, ნაბიჯი დაუმძიმდა, სიტყვა ძვირი გახდა. მაგრამ საკომეურნეო შრომაში მაინც მონაწილეობს. წელს მან ერთ ჰექტარ სიმინდის ფართობს ისე მოუარა, რომ 60 ცენტნერი მიიღო.

თადა ნაფიშვილმა კი 105 წელს გადააბიჯა, მაგრამ ჩაის ფოთლის კრეფის დროს თავის შვილებთან, შვილიშვილებთან —17 კაცთან ერთად სულ პლანტაციაშია. ისინი დღეში 400-500 კილოგრამ ფოთოლს კრეფენ. დ. ბანა მარტო ესენია დარჩენში. აქ შეხვდებით ონისიმე ბეჭვაიას, ბათლომე ჩხამელიას და სხვებს, რომლებიც ოთხმოცდახუთ წელზე მეტი ხნისა არიან და მაინც ახალგაზრდული გატაცებით შრომობენ.

შეჰყურებთ მოხუცებს და ფიქრობთ, რაღა იქნებიან სოფელ დარჩელის ახალგაზრდები, ასეთ მწვანე ნარგავებში ჩაფლულ სოფელში რომ ცხოვრობენ და მუშაობენ?

გადავწყვიტეთ გავცნობოდით კოლმეურნეობის ბუხჰალტერიაში ჩანაწერ ციფრებს... კანტორაში საანგარიშო დარგის მუშაკები თავაუღებლად მუშაობენ. სამეურნეო წელი უკვე დამთავრდება, და ვინ იცის რამდენი რიცხვის გამოთვლაა საჭირო. დარჩელის გაზეთ „კომუნისტის“ სახელობის კოლმეურნეობა (თავმჯდომარე შ. ქადარია) ხომ მრავალდარგოვანია. ჩაის ფოთლის, სიმინდის, დაფნის, ხილის და სხვა სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობის გადიდებაში და მეცხოველეობის პროდუქტების სიუხვის შექმნაში როგორ იმუშავა კოლმეურნეობამ, ვინ როგორი წარმატება მოიპოვა, ამის დაზუსტებაა საჭირო.

კოლმეურნეობის კანტორაში მოდიან ჩრიგადირები. მათ ხელთ აქვთ ქვითრები, ზედნადებები, გეგმები, ცალკე ჩანაწერები. ისინი ბუხჰალტერიაში აუსტებენ ყველაფერს, საბუთებს ერომანენთან ადარებენ. წელიწადი ფლის შედეგი ყველას ბინტერესებს.

კოლმეურნეობის მთავარი ბუხჰალტერი ვარლამ თოფუა ერთ-ერთ ციფრზე — 7.900-ზე შეჩერდა.

2. ეს ღლეები დარჩელში

ასე შრომობენ, ასე ფიქრობენ კოლმეურნეები

◆

—რა არის ეს ციფრი? — შეეკითხეთ.

— ეს ახალგაზრდა ნორა ჭითანავას მიერ მოყვანილი ჩაის ფოთოლია. მან 0,5 ჰექტარზე 7.900 კილოგრამი „შწვანე ოქრო“ მიიღო, თანაც საუკეთესო ხარისხისა.

კოლმეურნეობაში ასეთი მოსავალი სარეკორდოა, რადგან ჰექტარზე გეგმით 4.000 კილოგრამს იღებენ.

ბუხჰალტერიის ჩანაწერებში ვნახეთ აგრეთვე ციფრი 110 ცენტნერი. ამდენი სიმინდის მოსავალი ჰექტარნახევარ ფართობზე მიუღია ვლადიმერ ქვანა

ჩვენი ხალხის სიყვარულით



ქართული კულტურის დიდი მეგობარი

გრიგოლ ალექსანდრეს ძე ბარათაშვილი ისტორიის მანძილზე ქართველ ხალხს არაერთი უცხოელი მეგობარი და გულშემატკივარი ჰყავდა. ქართველი ხალხის მდიდარი ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობით და საქართველოს სილამაზით მოხიბლულნი, ისინი გატაცებით სწავლობდნენ ქართულს, საქართველოს წარსულს და უანგაროდ ემსახურებოდნენ ქართული კულტურის შესწავლისა და პოპულარიზაციის საქმეს.

ასეთ ადამიანთა რიცხვს ეკუთვნის გასული საუკუნის გამოჩენილი ორიენტალისტი და ქართველოლოგი, რუსეთის აკადემიის წევრი **მარი ფელისიტე ბროსე** (1802-1880 წწ.), რომელმაც მთელი თავისი შეგნებული სიცოცხლე, გასაოცარი ენერგია, ნიჭი და ერუდიცია მოახმარა ქართველი ხალხის მდიდარი ისტორიული წარსულის მეცნიერულ შესწავლას, ქართული კულტურის ძეგლების პოპულარიზაციას რუსეთსა და დასავლეთ ევროპაში. ნ. მარსა და ვ. ბარტოლდს მარი ბროსე მიაჩნდათ მეცნიერული ქართველოლოგიის ფუძემდებლად რუსეთსა და დასავლეთ ევროპაში. ამასვე აღნიშნავდა აკად. ივ. ჯავახიშვილი, რომელიც წერდა: „საქართველოს მეთოდური მეცნიერული შესწავლის მეთაურად უცილობლად უნდა ფრანგი მარი ბროსე იქნეს ცნობილი“.

მარი ბროსე სამოღვაწეო ასპარეზზე გამოვიდა გასული საუკუნის 30-იან წლებში, როცა დასავლეთ ევროპასა და რუსეთში მეცნიერული ქართველოლოგია ის-ის იყო ფეხს იდგამდა და წელში იმართებოდა. ამ დროისათვის უკვე არსებობდა დიდძალი აღწერილობითი ლიტერატურა საქართველოს შესახებ, ევროპის მთელ რიგ ქალაქებში მოიპოვებოდა ძველი ქართული კულტურის არაერთი ძეგლი (ხელნაწერები, მონეტები, ნივთები, სბ-ეთები...), გამოქვეყნებული იყო ცალკეული მეცნიერული ნაშრომები ქართველოლოგიის ამა თუ იმ საკითხზე. მაგრამ ყველაფერი ეს ჯერ კიდევ არ იყო სისტემაში მოყვანილი, ერთ მეცნიერულ დარგად შეკრული და ჩამოყალიბებული. სხვადასხვა დროს, სხვადასხვა ქვეყანაში შექმნილ ამ მასალებს ესაჭიროებოდა გარკვეული მეცნიერული პრინციპით გაერთიანება, ქართველოლოგიის კარდინალური საკითხების საფუძვლიანი დამუშავება, რასაც მოჰყვებოდა ამ დარგის მეცნიერული ჩამოყალიბება. ამ ამოცანის შესრულება შეეძლო მხოლოდ სპეციალისტ-ქართველოლოგს, და ასეთ სპეციალისტად ევროპულ მეცნიერებას მარი ბროსე მოევლინა...

აღმოსავლური ფილოლოგიით გატაცებული მარი ბროსე საფრანგეთის კოლეჯში სწავლობდა ჩინურ, ტიბეტურ და მანჯურულ ენებს, მაგრამ შემდეგ თავისი უფროსი მეგობრისა და კოლეგის ე. სენ-მარტენის რჩევით, ხელი მოჰკიდა ქართული ენისა და ლიტერატურის შესწავლას. ბროსე ზეციანი ევროპაში ხელმისაწვდომ გრამატიკულ ნაშრომებსა და ლექსიკონებს, ქართული ბიბლიის ტექსტი სტეფანეწმიდელ მორფო-ფიზიოლოგიის ლაბორატორიამ და თბილისის ანატომთა, ჰისტოლოგთა და ემბრიოლოგთა საზოგადოებამ 2 დეკემბერს თბილისში მოიწვიეს თათბირი, რომელმაც განიხილა ნერვული სისტემის რეალური და რეგენერაციული პროცესების პრობლემები.

თათბირი შესანიშნავი სიტყვით გახსნა აკადემიკოსმა ი. ბერიტაშვილმა. თათბირს ესწრებოდნენ ჩვენი ქვეყნის მრავალი ქალაქის გამოჩენილი მეცნიერი მედიკები, ფიზიოლოგები, ბიოლოგები, აგრეთვე ბერლინის უნივერსიტეტის მეცნიერები.

ნერვული ქსოვილის ელემენტების რეგენერაციის (აღდგენის) პრობლემა ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრობლემაა თანამედროვე ბიოლოგიაში. შეიძლება თუ არა დაზიანებული ნერვული უჯრედის და თავის ტვინის ქერქის სტრუქტურის აღდგენა? იყოფა თუ არა ნერვული უჯრედები?

ამ თათბირის თბილისში მოწვევა განაპირობა იმან, რომ საქართველოს მეცნიერმა მკვლევარებმა, კერძოდ, მორფო-ფიზიოლოგიის ლაბორატორიის თანამშრომლებმა მიიღეს საინტერესო შედეგები.

თათბირის ძირითად საკითხთა შორის იდგა საქართველოს ეესპერიმენტატორთა ათი წლის დაკვირვების შედეგები. თათბირის მუშაობა სამ დღეს გაგრძელდა. წაკითხულ იქნა 23 მოხსენება.

აქტუალური პროგლემა თანამედროვე გიოლოგიაში

საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტრომ, რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიამ, თბილისის პუშკინის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის პრობლემური მორფო-ფიზიოლოგიის ლაბორატორიამ და თბილისის ანატომთა, ჰისტოლოგთა და ემბრიოლოგთა საზოგადოებამ 2 დეკემბერს თბილისში მოიწვიეს თათბირი, რომელმაც განიხილა ნერვული სისტემის რეალური და რეგენერაციული პროცესების პრობლემები.

ჩვენი საკავშირო ცხოვრება

კონტაქტების ფართოვდება

ტოკიო, 9 დეკემბერი. საკდესის კორესპონდენტი ვ. ზაცეპინი იუწყება:

იმასთან დაკავშირებით, რომ ტოკიოში გაიხსნა საბჭოთა კავშირ-იაპონიის ეკონომიური მესამე თათბირი, იაპონიის გაზეთმა „მაინიჩი დეილი ნიუსმა“ დღეს გამოუშვა სპეციალური დამატება, რომელშიც ნაჩვენებია საბჭოთა კავშირის ეკონომიური განვითარება, იაპონია-საბჭოთა კავშირის ვაჭრობის გაფართოება ამ უკანასკნელ წლებში და ორი ქვეყნის საქმიანი ურთიერთობის განმტკიცება.

საბჭოთა კავშირის ეკონომიკის ისტორია, წერს „გაზეთი, — ეს არის განუწყვეტელი დინამიკური ზრდის მაგალითი. მართლაც სასწაულია, რომ ქვეყანა, რომელიც წარსულში ეკონომიურად ჩამორჩენილი იყო, მოკლე პერიოდში „გახდა სუპერსახელმწიფო“. ამ-ქამად, ხაზს უსვამს გაზეთი, საბჭოთა კავშირი უშვებს მრეწველობის მეტ პროდუქციას, ვიდრე ინგლისი, საფრანგეთი, იტალია, კანადა, იაპონია, ბელგია და ჰოლანდია ერთად აღებული.

საბჭოთა კავშირის სამრეწველო განვითარების სწრაფი ტემპი, აღნიშნავს გაზეთი, შესაძლო გახდა სოციალისტური საზოგადოებისა და ამ ქვეყნის ეკონომიური სისტემის მეოხებით.

შემდეგ გაზეთი აღნიშნავს, როგორც დადებითს ფაქტორს, რომ საბჭოთა კავშირში არ არის უმუშევრობა.

„მაინიჩი დეილი ნიუსი“ კმაყოფილებით წერს ორი ქვეყნის ეკონომიური კონტაქტების მუდმივ და განუხრელ გაფართოებაზე და მოუწოდებს კიდევ უფრო განმტკიცონ იაპონიისა და სსრ კავშირის საქმიანი თანამშრომლობა.

ავეთქეგანი პარიზში

პარიზი, 9 დეკემბერი. (საკდესი). ძლიერი აფეთქების შედეგად, რომელიც „რენოს“ საავტომობილო ფირმის სალონში გაისმა, გუშინ დაახლოებით დილის 4 საათზე, სალონის უზარმაზარი მინები ჩაიალეწა. შიდამოწყობილობის ნაწილი ძლიერ დაზიანდა. გვიან რადგან იყო, სალონში არავინ ყოფილა, მაგრამ აფეთქების ტალღამ დააშავა ერთი კაცი, რომელიც სალონის მეზობელ სახლში ცხოვრობს. პოლიციის წინასწარი ცნობით, ეს ნგრევა გამოწვეულია დაახლოებით ერთი კილოგრამი სიმძიმის პლასტიკური ბომბის აფეთქებით.

ი. მაპარტის განცხადება

ნიუ-იორკი, 9 დეკემბერი. (საკდესი). სენატორმა იუჯინ მაკარტიმ განაცხადა, რომ საჭიროა შეერთებულმა შტატებმა რაც შეიძლება მალე დაამტკიცოს ატომური იარაღის გაუვრცელებლობის ხელშეკრულება.

ნიუ-იორკში სადილზე გამოსვლისას, რომელიც გონივრული ატომური პოლიტიკისათვის ბრძოლის ეროვნულმა კომიტეტმა მოაწყო, მაკარტიმ განაცხადა, რომ შეერთებული შტატების მიერ ატომური იარაღის გაუვრცელებლობის ხელშეკრულების დამტკიცებას დიდი მნიშვნელობა აქვს, რათა შეიზღუდოს ამ გამანადგურებელი იარაღის გამალებული წამოება. სენატორმა მოითხოვა აგრეთვე პენტაგონის ძალაუფლების შეზღუდვა ახალი სახეობის იარაღის შექმნაში.

ვენესუელის ახალი პრეზიდენტი

კარაკასი, 9 დეკემბერი. (საკდესი). ძლიერი აფეთქების შედეგად, რომელიც „რენოს“ საავტომობილო ფირმის სალონში გაისმა, გუშინ დაახლოებით დილის 4 საათზე, სალონის უზარმაზარი მინები ჩაიალეწა. შიდამოწყობილობის ნაწილი ძლიერ დაზიანდა. გვიან რადგან იყო, სალონში არავინ ყოფილა, მაგრამ აფეთქების ტალღამ დააშავა ერთი კაცი, რომელიც სალონის მეზობელ სახლში ცხოვრობს. პოლიციის წინასწარი ცნობით, ეს ნგრევა გამოწვეულია დაახლოებით ერთი კილოგრამი სიმძიმის პლასტიკური ბომბის აფეთქებით.

ეს პირველი აფეთქება როდია საფრანგეთის დედაქალაქში უკანასკნელი რამდენიმე დღის მანძილზე. პარასკევს ღამით აფეთქებებმა შეაზანზარა სამი ბანკის შენობა. ერთი კაცი დაშავდა, შენობებს დიდი მატერიალური ზარალი აქვს. გუშინ საღამოს უცნობმა პირებმა ცეცხლგამჩენი სითხით სავსე ბოთლები შეაგდეს შენობაში, რომელიც ეკუთვნის პარიზის 1-ლი და მე-4 ოლქების „რესპუბლიკის დაცვის კომრის“.

ამეკამად წარმოებს გამოძიება. აფეთქებათა ორგანიზატორები ჯერ არ აღმოუჩენიათ. მაგრამ, როგორც ბაზეთი „ლუმანიტე-დიმანში“ აღნიშნავდა“, „ვინც უნდა იყვნენ ისინი, ეს აფეთქებები ხელსაყრელია მხოლოდ იმათთვის, ვინც დაინტერესებულია ხელი შეუშალოს სახალხო და დემოკრატიული მოქმედების განვითარებას“.

ამერიკელები ინდოეთში

ნიუ-იორკი, 9 დეკემბერი. (საკდესი). ინდოეთის ეროვნული ბანკის ბანკნოტებზე ინდოეთის ეროვნული ბანკის ბანკნოტებზე ინდოეთის ეროვნული ბანკის ბანკნოტებზე

გასტროლებზეა დიდი თეატრი

გვესაუბრება დიდი სახელმწიფო აკადემიური თეატრის დირექტორი

მ. ი. ჩულაკი.

წყნარი ოკეანიდან ატლანტის ოკეანემდე, მსოფლიოს შვიდ ქვეყანაში აწყობს საგასტროლო მოგზაურობას სსრ კავშირის დიდი თეატრი 1968-70 წლებში. ამ მოგზაურობათა გეგმებზე გვესაუბრება დიდი სახელმწიფო აკადემიური თეატრის დირექტორი მ. ი. ჩულაკი.

— ჩვენს კოლექტივთან შეხვედრას, — თქვა მიხეილ ჩულაკმა, — ინტერესით ელიან ბევრი ქვეყნის მაყურებლები. და მაინც პირველი „საკმანი“ გვექნება თანამემამულეებთან — შუა აზიის რესპუბლიკების ხელოვნების მოყვარულებთან.

22 დეკემბრამდე დიდი სახელმწიფო აკადემიური თეატრის საოპერო დასის ძირითადი ბაზა ტაშკენტშია. აქ ნავოის სახელობის სახელმწიფო თეატრის სცენაზე ვუჩვენებთ ოპერებს: „ხოვანშჩინას“, „თქმულებას არაჩვეულებრივ ქალაქ კიტეჟზე“, „თავად იგორს“, „პიკის ქალს“, „სევილიელ დალაქს“. ამავე დროს უზბეკეთის დედაქალაქის ორ დიდ საკონცერტო დარბაზში გამოვლენ თეატრის მუსიკალური ანსამბლები, წამყვანი მომღერლები და ბალეტის სოლისტები. დიდი თეატრის სოლისტები ეწვევიან აგრეთვე ამხანდს, დუშანბეს, ფრუნზეს, ალმა-ატას, სადაც მონაწილეობას მიიღებენ ადგილობრივი თეატრების სპექტაკლებში.

8 დეკემბერს ტაშკენტში გაემგზავრა დიდი ბალეტიც, რომელიც უზბეკ მაყურებლებს უჩვენებს სპექტაკლებს „ლებელს“, „მოპენიანას“, „გედის ტბის“ მეორე მოქმედებას და „ყვავილიერ ცეკვებს“.

მომავალი წლის ზაფხულში დიდი თეატრის საოპერო დასის გასტროლები მოეწყობა სოფიაში, ბერლინსა და სხვა ქალაქებში. ბალეტი გაემგზავრება გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის რამდენიმე ქალაქსა და ინგლისის დედაქალაქში. დიდი სახელმწიფო აკადემიური თეატრის კოლექტივი მიწვეულია 1970 წლის მსოფლიო გამოფენებზე იაპონიის ქალაქ ოსაკაში. სადაც საბჭოთა მსახიობები ათზე მეტს სპექტაკლს უჩვენებენ.

— ახლა მიმდინარეობს მოლაპარაკება, — თქვა მ. ი. ჩულაკმა, — საფრანგეთის, ავსტრიის, იტალიის საუკეთესო საოპერო თეატრებთან გაცვლითი გასტროლების შესახებ.

ეძიმი გვირჩევს

ზოგი ამბობს, სურდო, ხველა — ასეთი ვერილმანების გამო ლოგინში ხომ არ ჩავწვებიო. ამ ვერილმანებს უკან კი ხშირად გრიპი იმალება, და ძნელია დასახელო სხვა ავადმყოფობა, რომელსაც მასზე მეტი ზიანი მოჰქონდეს ადამიანებისა და სახელმწიფოსათვის. გრიპის ეპიდემიები მთელ მატერიკებს ედება. მაგალითად, 1957 წელს 2 მილიარდამდე კაცმა გადაიტანა ეს დაავადება. როგორც წესი, იგი მკვეთრად ასუსტებს ორგანიზმის დამცველ ძალებს და ამიტომ შეიძლება გამოიწვიოს სიში ნი გართულებანი. უფრო ხშირად ეს არის ფილტვების, ბრონქების, ცხვირის ღრუების ანთება, გულსისხლძარღვთა დაავადებების გართულება. ზოგჯერ ზიანდება თვალებიც, თა, და კარგიც ქნა. მას წერტილოვანი კერატიტი აღმოაჩნდა. წვეთებმა და მალამომ თავისი გაკეთა. ანთებითმა მოვლენებმა რამდენიმე დღეში იკლო და თანდათან მთლად გაქრა.

მეორე ავადმყოფის საქმე ასე მშვიდობიანად როდი დამთავრდა, რაც მისივე ბრალი იყო. ყველაფერი ისევე დაეწყო, მაგრამ „წვრილმანებს“ ყურადღება არ მიაქცია, მეცადინეობას განაგრძობდა და სანიგურაროზეც კი წავიდა. როცა „გამბედავი“ ჭაბუკი, ბოლოს, პოლიკლინიკაში მოვიდა, ფერადი გარსების ანთება გაჩაღებული იყო, თვალის გუგას გარშემო შეშფოთებანი გასჩენოდა. საჭირო გახდა სტაციონარში გაგვგზავნა ეს ახალგაზრდა. ერთი თვის გულმოდგინე მკურნალობით მხედველობა გაუმჯობესდა, მაგრამ მთლიანად ვეღარ აღდგა, შეშფოთებათა გახსნა ვეღარ მოხერხდა.

გრიპის შემდგომი გართულების მეორე სახეა თვალის სისხლძარღვთა გარსის ანთება. ამ ავადმყოფობას თითქმის იგივე ნიშნები აქვს, რაც კერატიტს, და ისევე აუცილებლად საჭიროა მისი დაუყოვნებლივ მკურნალობა, რისთვისაც, აქვე უნდა ვთქვათ, ოკულისტებს საკმაოდ ეფექტური საშუალებები მოეპოვებათ.

როგორია პროფილაქტიკის ზომები? მთავარია, რა თქმა უნდა, ვეცადოთ, რომ გრიპი არ გადაგვეგდოს. ამას ძალიან უწყობს ხელს ორგანიზმის წრთობა. ფიზიკურად მაგარ ადამიანთა ორგანიზმი გაცილებით უფრო ძლიერ წინააღმდეგობას უწევს ავადმყოფობას, ისინი უფრო იშვიათად ავადდებიან და უფრო ადვილად იტანენ გრიპს. შემოწმებული საშუალებაა გრიპის საწინააღმდეგო შრატი. სარგებლობის მოტანა შეუძლია ასპირინს, ფენაციტინს, პირამიდონს, ციტრამონს. მაგრამ ეს უწყინარი წამლებიც ექიმის რჩევით უნდა მივიღოთ.

არის ნაცადი ხალხური საშუალებები — ჟოლოს ნახარში, ცაცხვის ყვავილი, თაფლი, ჩაი ლიმონით — ყველაფერი, რაც ხელს უწყობს ორგანიზმიდან შხამიანი წიდების გამოყვანას.

ამრიგად, თითქოს ახალს არაფერს გირჩევთ, მხოლოდ მოგაგონთ მარტივი საშუალებანი, რომლებიც გვიხმარებიან იმაში, რომ თავიდან ავიცილოთ ვირაგი გრიპი და მისი ერთ-ერთი გართულება — თვალების დაავადება.

ნ. მიხაილოვა.
მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი

გრიპი და თვალები

რომლებიც ძალიან ადვილად ავადდება დასუსტებულ ორგანიზმში.

როგორ იწყება გრიპი? შეცივნება, თავის ტკივილი, სურდო, კიდურებში მტკრევა და თითქმის ყოველთვის ტკივილები ქუთუთოებზე თითების დაჭერისას, შუქის შიში. როცა ეს დამახასიათებელი ნიშნები ცოტა ხანს გრძელდება, თვალების სპეციალურად მკურნალობა საჭირო არ არის. მაგრამ მხედველობის ორგანოს ყოველი გართულება უკვე მოითხოვს ექიმის ჩარევას. მხედველობაში უნდა ვიქონიოთ, რომ თვალების საკმაოდ სერიოზული დაზიანება შეიძლება გამოიწვიოს გრიპის მსუბუქმა ფორმებმა, მეტადრე თუ ის ფეხზე გადავიტანეთ.

რა უნდა ვქნათ მაშინ? ფიქრი და ლოდინი საჭირო არ არის, დაუყოვნებლივ უნდა მივმართოთ ოკულისტს. გრიპის ყველაზე გავრცელებული შედეგია კერატიტი (რქოვანი გარსის ანთება). მისი ნიშნებია ცრემლის დენა, თვალებში ჩხვლეტა, შუქის შიში. თუ კერატიტის მკურნალობას მალევე დავიწყებთ, მისი შეჩერება ხერხდება 10-20 დღეში, წინაადმდეგ შემთხვევაში კი მკურნალობა 2-3 თვეს ჭიანურდება. ერთი ჩემი პაციენტი ქალი ცოტათი შეუძლოდ გახდა, ოდნავი მტვრევა იგრძნო სახსრებში, სურდო დაემართა. უბნის ექიმმა გრიპი დაადგინა. ქალმა მალე მარჯვენა თვალში ჩხვლეტა იგრძნო, მაშინვე მომმართა, და ვირაგიც ქნა. მას წერტილოვანი კერატიტი აღმოაჩნდა. წვეთებმა და მალამომ თავისი გაკეთა. ანთებითმა მოვლენებმა რამდენიმე დღეში იკლო და თანდათან მთლად გაქრა.

ამრიგად, თითქოს ახალს არაფერს გირჩევთ, მხოლოდ მოგაგონთ ძველ ჭეშმარიტებებს, ოღონდ ეს ჭეშმარიტებანი ცხოვრებისეულ, ადამიანურ ენაზე ითქმიან, ანუ ეს ის ენაა, ის ენა, ის ენა, ის ენ